სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

03637503181314

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140275381

რეგისტრაციის თარიღი

24.03.2014 წ

ნოტარიუსი: მაია ფუტკარაძე
მისამართი: ზუგდიდი სტალინის ქ N 3 I სართული
ტელეფონი: 253977

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

რეგისტრირებულია სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ რეესტრში

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდათხუთმეტი მარტს მე, ნოტარიუსს მაია ფუტკარაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ზუგდიდი, სტალინის ქ №3-ში, მომმართა ბატონმა ბორის კუკავამ, რომელმაც განაცხადა რომ ის არის შპს „ლეგი"- ს დირექტორი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის ნომერი 531253, ს/კ 212152980) რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ლეგან კუკავას მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბორის კუკავამ (დაბადებული 24.11.1942 წელს, პირადი №01024006172, ბარათის №11IC89740 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 16.05.2012 წელს, მისამართი ზუგდიდი ს. დიდინეძი) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, მაია ფუტკარაძემ შევადგინე მინდობილობა და წავუკითხე მას, განვუმარტე მას მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულიად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას, რასაც ვადასტურებ.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდათხუთმეტი მარტი.

მე, ბორის კუკავა (დაბადებული 24.11.1942 წელს, პირადი №01024006172, ბარათის №11IC89740 გაცემული იუსტიციის სამინისტროს მიერ 16.05.2012 წელს, მისამართი ზუგდიდი ს. დიდინეძი) შემდომში „მომნდობი„ წინამდებარე მინდობილობით ლეგან კუკავას (დაბადებულს 16.11.1977 წელს, პირადი №01007002524, ბ/მ №ა 1165178 გაცემული სრს დიდუბე ჩუღურეთის სამსახურის მიერ 02.04.2008 წელს, მისამართი თბილისი ვ. ბაგრატიონის ქ ბლოკი I კორ. 5 ბ. 35), რომელიც შემდეგში მოხსენებულია, როგორც „მინდობილი პირი„ ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მართის შპს „ლეგი"- ს (ს/კ 212152980) სახელზე რიცხული უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი გლდანის VI მ/რ ტიულენების ქ №11-ში, მას ვანიჭებ უფლებამოსილებას დირექტორის სახელით გააკეთოს განცხადებები, გასცეს თანხმობები მათ შორის სარეკლამო ბრების განთავსებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე იყოს მისი სრულუფლებიანი და შეუზღუდავი წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურებში, ყველა სახის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც წინამდებარე მინდობილობით არის გათვალისწინებული. .

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და შედგენილია სამ თანაბარძალიშენელოვან ეგ ზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ორი გადაეცა მინდობილ პირს.

ხელმოწერა: ბორის კუკავა

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური + საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" – 10.00 ლარი 31.7 – ე მუხლის შესაბამისად + სარეგისტრაციო საზღაური 2-00 ლარი 39.1 - ე მუხლების შესაბამისად.

ნოტარიუსი: მ. ფუტკარაძე/

